№ 258 13 ქრისტეშობისთვე, ხუთშაბათი 1866—1879 13 ქრისტეშობითსვე, ხუთშაბათი № 258

დროება

ᲣᲙᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲘᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ. Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ... ებით ასოზე 1 კაპ. ... ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

„დროებისა“ და „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქცია ᲒᲐᲠᲓᲐᲕᲘᲓᲐ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲖᲔ, ᲨᲣᲐ-ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, Თ. ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲐᲠᲚᲣᲗᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 2.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ 1880 ᲬᲚᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔᲓ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ და ჟურნალი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

მიიღება Თფილისში: „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ᲛᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“ - „Иверіи“.

ᲤᲐᲡᲘ

						წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს.
„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“	და	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“	—	ერთად	—	13 მან.	— 7 მან.	— 4 მან
Ცალკე:	„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“		—	—	—	9 „	— 5 „	— 3 „
	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“		—	—	—	6 „	— 4 „	— 2 „

Ცალკე ნომერი „Დროებისა“ ღირება — 5 კაპეიკი.
— — „Ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხეედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ { Თ. ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ. ᲡᲔᲠ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ხელმწიფე იმპერატორიცის მშვიდობაზედ: **ᲙᲐᲜ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ.** ღამე მშვიდობიანად გაათია; გულის ტკივილმა მოუკლო; ღონე ცოტათი მოემატა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ მინისტრები მოგროვდნენ გუშინ ვადინგტონთან, მოაწერეს ხელი სამსახურიდგან დათხოვნის ქალალდზედ და წარუდგინეს ის რესპუბლიკის პრეზიდენტს ᲑᲠᲔᲕᲘᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ სამინისტროს (კაბინეტის) შედგენა მინდობილი აქვს ᲤᲠᲔᲘᲡᲘᲜᲔᲡ.

ᲕᲔᲜᲐ, 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. რეიხსტაღის დეპუტატთა პალატმა ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, ორი-მესამედი ხმის უმეტესობით, მიიღო მმართებლობისაგან წარდგენილი სამხედრო კანონის პროექტი. 328 კენჭში ამ კანონს 223 თეთრი ამოუვიდა და დანარჩენი 105 შავი.

ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲢᲐ, 11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲐᲔᲦᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ დასამორჩილებელად გაგზავნილ ინგლისის ჯარის სარდალმა ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲛᲐ უბრძანა ღენ. ᲑᲐᲣᲡ, რომ ᲯᲔᲓᲐᲚᲐᲙᲘᲡᲐ და ᲫᲐᲑᲣᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ წავიდეს თავის ჯარით ღენ. ᲑᲐᲣᲡ ჰყავს სულ 2,100 კაცი 6 ზარბაზნით; ღენ. ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲡ, 23 ინგლისურ ზარბაზნებს გარდა, ბევრი სხვა ზარბაზნები და ყოველგვარი სამხედრო მასალები აქვს, რომელიც მტერს წაართვა. ღენ. ᲑᲠᲐᲘᲢᲡ ᲯᲔᲛᲠᲣᲓᲡᲐ და ᲯᲔᲓᲐᲚᲐᲙᲡ შუა ჰყავს 12,000 კაცი 30 ზარბაზნით. ღენ. ᲡᲢᲘᲣᲐᲠᲢᲡ შეუძლია 9,000 კაცი 20 ზარბაზნით გამოიყვანოს ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ველზე; ის ᲣᲜᲓᲐᲐᲠᲨᲘ დგას. ღენ. ᲨᲐᲢᲡᲝᲜᲘ დაბანაკებულია აგრეთვე 2,000 კაცითა და 20 ზარბაზნით ᲫᲣᲠᲣᲛᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲘ. ᲐᲛ ნაირად, ᲐᲔᲦᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ ინგლისელებს ჰყავთ სულ 45,000 კაცი 60 ზარბაზნით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. დეპუტატთა პალატის კრებაში რადიკალურ დეპუტატმა რეინალმა საყვედური გამოაცხადა სამხედრო მინისტრზე იმისთვის, რომ იმან არ დასაჯა პოდპოლკოვნიკი სენატორი ᲙᲐᲠᲔᲘᲝᲜ ᲚᲐᲢᲣᲠ ᲒᲠᲐᲤ ᲨᲐᲛᲑᲝᲠᲘᲡ დაბადების დღესასწაულობისათვის. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ის დაეთანხმა გამომძიებელ კომისიას, და შემდეგ გავიდა კრებიდამ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, მინისტრი რესპუბლიკის პრეზიდენტთან ᲑᲠᲔᲕᲘᲡᲗᲐᲜ წავიდაო იმ განზრახვით, რომ სამსახურიდამ დათხოვნის ქალალდი წარუდგინოსო.

ᲐᲥᲐᲣᲠᲘ გაზეთები ამტკიცებენ, რომ ᲧᲕᲔᲚᲐ მინისტრები გამოდიან სამსახურიდამაო; ახალი სამინისტროს შედგენა ᲤᲠᲔᲘᲡᲘᲜᲔᲡ ექნება მინდობილიო.

ᲡᲔᲜᲐᲢᲛᲐ დაამტკიცა ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ მიღებული 1880 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ თავსმჯდომარემ ᲕᲐᲓᲘᲜᲒᲢᲝᲜᲛᲐ დეპუტატთ პალატაში წაიკითხა დეკრეტი, რომელიც აცხადებს, რომ ამ

პალატის სხდომები ახალწლამდინ დაიხურებაო.

ლონდონი, 7 დეკემბერს. ინგლისის ნაფიც მსაჯულებმა განიხილეს ვიკენტი და ალბერტ ნიკოლსებისა და თეოფილ დობროვსკის საქმე, რომელთაც რუსის ყალბი ბილეთების გავრცელებას აბრალებდნენ, დამნაშავედ აღიარა ისინი და თორმეტი წლით ციხეში ჩასმა გარდაუწყვიტეს იმათ.

პეტერბურღის ბირჟა, 11 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემი —	— 93	— 25
მეორე — — —	— 92	— 50
მესამესი — —	— 94	— 25
მეოთხესი — —	— 93	— 50
ალმოსავლეთის პირ.	— 90	— „
ალმოსავლეთის მეორე	— 90	— „
ალმოსავლეთის, მესამე	— 90	— 37
ბაკრო, ½ იმპერიალი	— 7	— 88
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	— „	— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 230	— 50
მეორე სესხის —	— 225	— 50
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი — —	25 — „	პენსი
ბამბურღი — —	127 — „	ცენტი
პარიჟი — — —	264 — „	სანტიმი
ვენა — — —	213 — 25	ჯენიგი
კავკასიის კერასინი — —	—	

საქართველო

ღღიური

*** ეს მეოთხე ღღეა, რაც ქალაქში დრო-გამოშვებით თოვს; ამის გამო ზოგიერთს ქუჩებში პირველ ღღესვე საშინელი ტალახი ადგა; მაგრამ ბლომათ მუშები დაასიეს და უმთავრესი ქუჩები ამ ჟამად, ამინდის-ბარობაზედ, გვარიანად გასუფთავებული არიან; მაგრამ შუა-ბაზრის და სხვა უბნების მიყრუებულს ქუჩებში ისეთი ლაფი ღგას, რომ ცხენსაც კი კოჭებამდინ შემოსწვდება... რაც უნდა იყოს, პოლიციის ძალ-დატანებამ კარგი ნამყოფი მოიტანა: უმთავრესი ქუჩები და ტროტუარები მაინც გაასუფთავებინა სახლის-პატრონებსა. ერევნის მეიდანიც შედარებით სუფთად არის...

*** ბაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელს ღროს ნავთლუხში ერთობ გახშირდა ქურდობაო; სხვათა შორის ამ სამი კვირის განმავალობაში იქაური სამხედრო ღიშპიტალი სამჯერ გაქურდესო და ერთხელ ისე გაალაგეს ერთის ოთახიდამ ყველაფერი, რომ რკინის კროატები მეტი არა დაუტოვებიათ-რაო, ლოგინიდამ ჩარსავები, ბალიშები და საბნები წაღებულა, სკივრში ჩალაგებული ნიფხა-პერანგი და სხვ.

*** ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოების თფილისელმა აგენტმა გვთხოვა, გამოვაცხადოთ, რომ, თუ ვისმესა აქვს სრული ქართული დაბადება და შეუძლია გაჰყიდოს ან ღროებით ათხოვოს, წარუდგინოს ეს წიგნი ზენებულ აგენტს, რადგან განზრახვა აქვს, რომ სრული დაბადება დაბეჭდინოს და გამოსცეს.

*** თფილისის სავაჭო პროგიმნაზიის დირექტორი უფ. ლილოვი აცხადებს, რომ, კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით თფილისში შესდგა საზოგადოება ამ პროგიმნაზიის ღარიბ შაგირდთა შესაწევნელად. უფ. დირექტორი მოიწვევს ყველას, ვისაც დახმარება ჰსურს ამ ქველ საქმისა, მიმართონ ან სახელმწიფო ბანკის ბანკოფილების გამგებელს უფ. ქაიდანოვს, ან გუბერნიის ხაზინადარს უფ. ბეკხანოვს და ან გაზ. „კავკაზის“ რედაქტორს უფ. ბორონოვს. ვისაც ჰსურს ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად იყოს, ან მუდამ წელიწადს 3 მან. უნდა შესწიროს და ან ერთ-ღროებითად 50 მან.

*** ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ სოფლების ნაისაკოვის, კვიტანის და აპაშის საზოგადოებაში მთელი ზაფხული საშინლად გავრცელებული იყო ყვავილი და რამდენიმე კაცი და ქალი იმსხვერპლაო. ბევგონაო, რომ გაზამთრებისას მოისპობა ეს ავათმყოფობაო, მაგრამ მოსპობის მაგიერად ახლა თან-დათან ძლიერდებაო. ამის გამო ბევრმა მცხოვრებლებმა მიატოვეს თავის სახლ-კარი და სხვა სოფლებში გადაეხიზნენო.

„ღროების“ კორესპონდენცია

(დასასრული)

ბოქრი, 8 დეკემბერს. ბევრი ყაყანისა, ყოყმანის შემდეგ, ამ კრებაზე, როგორც იყო, დაუნიშნეს ექვსასი მანეთი წელიწადში.

ექსარხოსმა იმათ ჟურნალზე დააწერა, რომ სამღვდელოებას გაეხსნა მეორე განყოფილება მოსამზადებელი კლასისა და ორთავე განყოფილების მასწავლებლებისთვინ დაენიშნათ შესაფერი ჯამაგირი. ამის თაობაზე იყო დანიშნული კრება გასული ნოემბრის 30, 1 და 2-ს. უთუოდ, რაღაც დიდი სიმარილე მიუძღოდა ამ ჩვენ ღარიბ სასწავლებელს, რომ ერთი ბლაღოჩინი, ერთი მდიდარი მღვდელთაგანი არ ერია დეპუტატებში. ღმერთმა უშველოთ, რომ არ მოვიდნენ, თორემ უთუოდ საქმეს დასცრიდნენ. ამ კრებაზე, თითქოს განგებ იყვნენ დანიშნულნი დეპუტატებათ სულ ღარიბი მღვდლები.

ამოირჩიეს თავმჯდომარეთ მამა სვ. ინდუაშვილი და საქმის მწარმოებლად მ. სვ, მაისურაძე. ამათ სთქვეს, რომ სწავლის საქმეს არა ეღალატება-რაო, ჩვენ ნუ მივხედავთ იმ მღვდლებს, რომლებიც მხოლოდ თავის ჯიბეს ჩასჩხავიანო, თავის ჯიბის მეტს ქვეყანაზე სხვას ვერას ხედვენო. მთელი ქვეყანა სწავლა-განათლებისათვინ იგოცვენ თავებსო; ჩვენი მხრივ ძუნწობა უსვინიდისო საქმე იქნებაო. ეხლა ისეთი ღროა, რომ უსწავლელი კაცი ერთ ფეტვის მარცვლათ არა ღირსო. თუ ერთი უკან ჩამოვრჩით სწავლა-განათლებაში, ქვეყანა ჩვენ გაგვქელამსო...

ყველამ ერთ ხმივ გამოაცხადა ყაბული მეორე განყოფილების გახსნაზე, გადაწყვიტეს, შეადგინეს ჟურნალი და ჯერ ხნობით ორმოც-და-ათი თუმანი დაუნიშნეს თვითო მასწავლებელს. ბორის და ახალციხის მაზრის სამღვდელოება სულ იხდის ხარჯს ას ორმოც-და-ათ თუმნამდინ. ამაზედაც დიდს უარს იყენენ.

შემდგომ თავმჯდომარის აღმოჩრჩეისა, შეუდგნენ წყაროს პოვნას. ბამოძებნეს შემდეგი წყარო: შემოსავლიან ეკკლესიებს შეაწირეს ბლომათ, ამასთანავე შემძლებელ მღვდლებსა: ვისაც ეწერა სამი მანეთი, გახადეს ექვსი, ზოგს რვა; შემოსავლიან ეკკლესიებს ხუთ-ხუთი თუმანი, ორ თუმანზე ქვევით აღარა; მხოლოდ ღარიბ მღვდლებს და ეკკლესიებს უწინდელივე ხარჯი დააწერეს... ეს უკანასკნელი კრება, ერთი სიტყვით, შესანიშნავი და საქებური იყო-

მდიდარ მღვდლებს არ ეპაშნიკებათ ამ კრების გადაწყვეტილება; მაგრამ რაღას იქმონენ? ბევრს ჩაიკვრენ გულში, ბევრსაც შემოიკურთხებიან, მაგრამ რა იქნება; რაც დაიწერა, დაიწერა.

ზემოთ ვსთქვი, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოება, უფრო და უფრო ქართლისა, ძალიან ძუნწობს სწავლა-განათლებაზე. სულ ორას თუმანს არ სწირავს, როგორც მკითხველი გაიგებს ამ წერილიდგან, ბორის მაზრის სამღვდე-

ლობა ახალციხით, და ამაზედაც გულს ეყრება. ქუთაისის სამღვდელოება ათასობით სწირავს, ყოველ წლივ ემატებათ ხარჯები, მაგრამ ჩვენსავით არა ჯიუტდებიან, როდესაც რომა ამიერ—საქართველოს მღვდლების მდგომარეობა უფრო უმჯობესია, ვინემ იმიერ—საქართველოსი: ჩვენებური მღვდლები იღებენ ჯამაგირს, იღებენ პურს დრამაში, აქვთ შემოსავლიანი ეკკლესიები, ბევრს ასობით და ათასობით ბანკებში ულაგიათ ფულები, ერთის სიტყვით, ჩემის აზრით, რამდენათაც მე ეს ვიცი, ჩვენებური მღვდლები ბატონები არიან იმერეთის მღვდლებთან, რომლებსაც არც ჯამაგირი აქვთ, არც აგრე რიგათ დიდი შემოსავალი აქვთ მრევლისაგან; მაგრამ თვით ირჯებიან, მხნეობენ და ამითი არ აცინებენ მტერს.

ჩვენ, ე. ი. სამღვდელოებამ, როგორც ხალხის მასწავლებლებმა, უნდა გაუხსნათ ხალხს სწავლის შეძენის სურვილი, უნდა ეცდილობდეთ შკოლის დახსნას; იმათ ხელის მომართვას.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ საქმეს არავინ დაგვიშლის. სირცხვილიც არის, რომ ამისთანა კეთილი, სწავლა-განათლების მოსურნე ექსარხოსის ხელში კაცმა არ გაკეთოს-რა. ჩვენი შვილების განათლებისთვინ ჩვენ სახლში რომ სხვა ცდილობდეს, დამერწმუნეთ, რომ ჩვენთვინ ეს დიდი სირცხვილია, ეს ცხვირში ძმარ-წამადინებელი წკიპარტია. ეს სირცხვილათაც გვეყოფა და სიკვდილათაცა. ჩვენ პირ-იქით უკან ვიწევთ იმ საქმეში, რომელიც ჩვენ პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენს.

ს. მგალობლიშვილი

დაბა ყვირილა, 7 დეკემბერი. ბევრი ლაპარაკი იყო ჩვენს სასამართლოზე და მოსამართლეებზე, მათ ქცევაზე და სამართალზე. დიდი გაჭირება გამოიარა ჩვენმა ხალხმა ზოგიერთი მოსამართლეების წყალობით. ჩვენი პირველი კარგი მოსამართლე იყო უფ. სლინკო და უკანასკნელი ასლამაზოვი, მაგრამ საწყალი მალე მოკვდა.

იმის შემდეგ დაგვინიშნეს კაცი ახალგაზდა და ჩვენი ხალხის ხასიათის უცოდინარი. მოვიდა თუ არა, გაუჩნდა რამდენიმე ბოროტი პირი, რომელთაც იმდენი ელაპარაკეს, რომ შორაპნელებს ისე დაუწყო ყურება, როგორც ზეკუსებს.

ანდაზათ არის თქმული: „მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხიო.“ ახალმა მოსამართლემ ისეთი წესები შემოიღო, რომ ხალხს საქმე გაუჭირდა. თხოვნას იღებდა ყველა საქმეების გათავების შემდეგ. ხშირათ მღვდელიც რომ ყოფილიყო, არ აფიცებდა მოწმეებს სიტყვიერ საჩივარს არ იღებდა. ხალხს უბრალო მიზეზისათვის ჯარიმას ახდევინებდა და სხვა ამისთანაები.

ამისთანა მოქმედება აწერეს და გაგზავნეს „თეფილისის მოამბის“ აზეთში, რომელშიაც ყველა იყო მოხსენებული. ამ ხანებში რევიზორიც მოვიდა..

კარგმა ხანმა გაიარა, რაც სასამართლოში არ ეყოფილვარ. ახლო ხანათ ვიყავი და არ შემიძლია არ გიამბოთ ის მშვენიერი შთაბეჭდილება, რომელიც ეხლანდელმა სუდიის მოქმედებამ მოახდინა ჩემზე. სუყველაფერი გამოცველილა. მეტის-მეტათ გამაკვირვა მოსამართლის თავაზიანმა მოპყრობამ ხალხისადმი. ორივე ნხარეს შეუძლია მოწმეების დანიშნვა. უოველგვარ პირებს და აღსასრულებელ ფურცლებს სიტყვიერი თხოვნით აძლევს მოსამართლე. იღებს სიტყვიერ თხოვნას;—თუ მღვდელი იშოვა, აფიცებს მოწმეებს. თხოვნებს 8, 10 და 12 საათზე იღებს. ნაცვლად წინანდელი მთარგმნელისა დაუნიშავს მეორე კარგი ნიჭიერი და პატიოსანი პირი, რომელიც სთარგმნის ბევრად უკეთესად იმ მთარგმნელებზე, რომელნიც ოლქის სასამართლოში არიან. საზოგადოთ ეხლა ხალხი ძლიერ მადლიერია მოსამართლისა.

არ ვფიქრობ, რომ მოსამართლეზე არ ემოქმედებინოს ზოგიერთი უსინდისო პირების ჩაგონებას პირველათ. რა სჯობია იმას, როდესაც ხალხს და მოსამართლეს კარგი განწყობილება აქვთ ურთიერთ შორის..

არიან აქ ზოგიერთი პირები, რომელნიც მრთელს უეზდის მცხოვრებრებლებს სძულს. ამისთანა მოსამსახურე პირები, როდესაც ახალ დანიშნული რომელიმე ჩინოვნიკი ანუ მოსამართლე მოდის, ცდილობენ, რომ ხალხს გადაამტერონ და ხალხი მას, და ამით თვითონ ისარგებლონ. მე ვგონებ ამისთანა პირების წყალობა იყო ის, რასაც ჩვენ ეხედავდით მოსამართლეში თავ-და-პირველათ. ეხლა გაბედვით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ამისთანა მუყაითს და ბეჯითს მოსამართლეს მეორე ადგილას ვერ ნახავს კაცი ამ გუბერნიაში. უნაკლულო კაცი არსად არ არის და ზოგიერთი ნაკლულევანება ამასაც ექმნება, რასაკვირველია, მაგრამ მისი შრომა ფარავს ყველას. ვისურვებთ დიდხანს გაგრძელებულიყოს ეს წესები და ის გცევა, რაც დღეს არის ჩვენ ხალხ-მართლოში.

ნურავინ ნუ მოტყუვდება იმაში, რომ ხალხი ვერ შეიტყობს ვითომ კარგსა და ცუდსა. დარწმუნდით, ხალხი უფრო მალე გამოიცნობს კარგსა და ავს. შორაპნელებზე ბევრი ჭორებია თქმული; მაგრამ ეს ჭორები გამოგონებულია იმისთანა ვაჟ-ბატონებისაგან, რომელნიც ამ უეზდის არ არიან, მაგრამ ამ უეზდით გაკეთებულან და შთაუნთქავსთ ხალხის სიკეთე. შორაპნელებს ძლიერ სძულთ ის პირები, რომელნიც მათ უყურებენ როგორც ზულუსებს და თუ შეიძლება, რასაკვირველია, არ დააყრიან ხეირს. ამისათვის ყველას ურჩევთ, ვისაც საქმე აქვს ხალხთან: რაც შეიძლება კაცობრიულათ მოექცნენ ხალხს; გინებას და მუშტით ყბის მტვრევას თავი დაანებონ...

N.

საგაასო

უფ. გროზდოვს

ქუთ. სას. სასწ. ზედამხედველის თანაშემწეს

პასუხის გაცემისათვის გმადლობთ. თქვენ, როგორც ჩანს, არ მგვანებიხართ იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ერთი პირუტყვის ყურთა-სმენა აქვსთ და რასაც უნდა უწერდე, პასუხს არ გაგცემენ.

მაგრამ ესწუხვარ, რომ თქვენი პასუხი თქვენ არ გამართლებს. ყველაზე, რომ პასუხი მოგცეთ ჩვენი ლაპარაკი წყლიანაყვას დავმსგავსება; ამისთვის ორი იდეა სიტყვას მოგახსენებთ.

ყოვლად-სამღვდელოს სიტყვები კარგათ ამტკიცებს იმას, რასაც მე ვსწერდი. თქვენ რა გითხრათ იმან და რა არა ბინაზე, ეს ჩვენთვის საჭირო არ არის; თქვენ ჯამაგირს ტყვილა ამცირებთ-ათასმანეთზე მეტი გეძლევათ; ამასთან სარგებლობთ ოთახებით, შეშით, სანთლით და მოსამსახურეებით. მოსამსახურე, მართალია არ არის დანიშნული, მაგრამ როგორ სარგებლობენ სახელმწიფო ფულებით დაყენებულ მოსამსახურეებისაგან—ეს ჩვენ კარგათ ვიცით...

მარტო საზოგადო შაგირდების ბინა ვერ გაუმჯობესებს მოწაფეების ზნეობას ხომ იცით—რა ამბები ხდება პანსიონებში. საუბედურო, ეხლა პანსიონის შაგირდები შედარებით უფრო ცუდი ზნეობის გამოდიან გარეთ მცხოვრებ შაგირდზე...

საქმე არც ზედამხედველების სიმრავლეშია; „შავი ძიძის ხელში ბავშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი წამოეთხარაო“ როგორლაცა არის ნათქვამი. საქმე გულით სამსახურზეა დამოკიდებული.

წინანდელი და ეხლანდელი ჩემი სიტყვებით თქვენ სრულებით არ გამცირებთ სხვა თქვენ ამხანაგებთან. თქვენ მაინც პირველ ადგილს გაძლევთ სხვასთან.

განცხადებანი

სოლოლაკზე, ამაღლების ქუჩაზე, მელქო ონანოვის სახლში, ქვრივის ხაველონსკის სახლის გვერდით, № 105, არის **გასაქირავებელი სადგომი,** ოთხი ოთახი თავის კუხნით, სარდაფით და პატარა ბაღით.

ფასის შეტყობა შეიძლება აქვე სახლის-პატრონთან.

(1—1)

ამ დეკემბრის 15-ს გამოვა

საუკუნო კალენდარი

შედგენილი ქალოუბნის მღვდლის ბაბრიელ სოფრომიძისაგან

ფასი ათი შაური

ამას გარდა იბეჭდება და ამ მოკლე ანში გამოვა ამავე აეტორის ორი წიგნი:

სიზმრის ახსნა

ფასი 20 კაპ.

და

ასოთ სამლერალი

ფასი 15 კაპ.

მაურველთ შეუძლიანთ ამ წიგნები მოითხოვოს გამომცემლისაგან ალოუბნის ეკკლესიიდამ.

(6—3)

ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1880—1883 წლებისათვის ხძოსანების (გლასნების) ამორჩევა დანიშნულია: პირველი კატეგორიის ამომრჩეველთათვის 16 დეკემბრისათვის, მეორე კატეგორიისათვის—18 დეკემბერს და მესამე კატეგორიისათვის—20 დეკემბერს.

ყველა ამომრხეველს საკუთრით სახელდობრივ უწყება მოუვა ამ ამორჩევების თაობაზედ.

(3—1)

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(Газетное Агентство В. Шавердова)

თ ფ ი ლ ი ს შ ი

(ბოლოვინის პროსპექტი, შავერდოვის სახლებში)

ილებს: ხელის-მოწერას რედაქციის ფასით ყველა სატახტო ქალაქებისა, უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივ გაზეთებზე და ჟურნალებზე.

ხელის-მოწერა მიიღება იმ პირობით, რომელსაც რედაქციები აცხადებენ და იმ ვადით, რა ვადითაც გამომწერი ისურვებს.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. უცხო ქვეყნისა და ოფიციალურ გამოცემაების გამომწერთ სააგენტო გარდაახდეევინებს მცირე კომისიის ფულს ფოჩტის ხარჯად. გაზეთის სააგენტო ხელის-მომწერს წარუდგენ რედაქციიდამ მიღებულს კვიტანციას ფულის შეტანის თაობაზედ.

ამ სააგენტოს საშუალებით გამოწერა გაზეთებისა და ჟურნალებისა განსაკუთრებით იმათთვის არის სასარგებლო, ვინც რამდენსამე გამოცემას ერთად დაიბარებს ხოლმე.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მომართონ სააგენტოს: Въ Тифлисъ. Въ Газетное Агентство В. Шавердова.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურულს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

	მან	კაპ.
ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ლა წიგნის		3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 30 ნოემბ.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	50
ფქვ. წითელი . .	2	10
ძერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	70
—ამერიკისა, ფუთი .	9	50
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატელი თუშური ფუთი.	7	80
—თრაქამისა ფუთი .	3	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	30
ქონის სანთელი ფუთი.	7	40
სტეარინის სანთელი ფ.	11	40
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროტ. ფუთ .	8	40
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი ფრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
თამბაქო საშუალო ფ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი: ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოკი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტავაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტავაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ჭურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Декабръ 1879 г. Типографія Меликова Зеймц. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი